ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 23.01.2024 წ.

დადგენილება 11.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N25

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა ის მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სხვ.), რომელიც უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შექმნას.

1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში თავდაპირველად ხდება საგანმანათლებლო პროგრამისათვის საბაზისო პირობების დაკმაყოფილება:

- განისაზღვრება პროგრამის სოციალური საჭიროება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლის განსაზღვრა ხდება დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზრის კვლევა და სხვა) კონსულტაციის საფუძველზე;
- აკადემიური ასპექტების გათვალისწინებით განისაზღვრება პროგრამა არის თუ არა მიმზიდველი;
- ხდება პროგრამისათვის აუცილებელი რესურსების არსებობის დადგენა (ადამიანური; მატერიალურ - ტექნიკური) ან/და მოძიება;
- ხდება პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა;
- განისაზღვრება აკადემიური ხარისხი;
- აღიწერება პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი;
- განისაზღვრება სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- განისაზღვრება კურსდამთავრებულთა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში პროგრამის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს ინსტრუქციებსა და ფორმებს:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია **(დანართი 1);**
- სილაბუსის შევსების ინსტრუქცია **(დანართი 2);**
- სასწავლო კურსის სილაბუსის ფორმა **(დანართი 3).**

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ჯგუფის მიერ, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფში შედიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებული, სტუდენტი, დამსაქმებელი, დარგის სპეციალიტები ა.შ. პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აყალიბებენ პროგრამის სტრუქტურას. აკეთებენ ინიცირებას პროგრამის ჯეროვნად განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების შესახებ (ადამიანური; მატერიალურ - ტექნიკური; ფინანსური და ა.შ.).

2.3. ადმინისტრაციის მხრიდან რესურსით უზრუნველყოფის შემდგომ:

- ისაზღვრება პროგრამის აკადემიური ხარისხი;
- აღიწერება პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- ისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი;
- ისაზღვრება სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, კომპონენტები;
- ისაზღვრება კურსდამთავრებულთა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა.

2.4. საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებთან ერთად განიხილავს სკოლის საბჭო და გადასცემს შემდგომი რეაგირებისათვის ხარისხის მართვის სამსახურს. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა გადის ექსპერტიზას (შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობასთან და შიდა რეგულაციებთან) ხარისხის მართვის სამსახურში.

2.5. ხარისხის მართვის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს ამოწმებს წინასწარ დამტკიცებული ფორმებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა **(დანართი 4);**
- სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა **(დანართი 5).**

2.6. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემოწმებული საგანმანათლებლო პროგრამა ეგზავნება უკან სკოლის საბჭოს.

2.7. სკოლის დეკანი წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამასა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს.

2.8. სკოლის საბჭოს მიერ განხილული პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის სენატს.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

3.1. საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგის სპეციალისტი. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაცია, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შედეგებს.

3.2. პროგრამის ხელმძღვანელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი/ირჩევა კონკურსის წესით.

3.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

- უძღვება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/განხორციელების პროცესს;
- ახდენს მაღალკვალიფიციური კადრების (დარგის სპეციალისტების) მოზიდვას პროგრამის განსახორციელებლად;
- კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას;
- ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სისტემატურ ანალიზს, რომლის შედეგებს, წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურს და შემდგომ სკოლის საბჭოს;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან და პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს;
- პერმანენტულ რეჟიმში ზრუნავს, როგორც პროგრამის შინაარსის მოდერნიზაციაზე, ასევე სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე;
- პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, სენატის, დეკანის და სკოლის საბჭოს წინაშე.

3.4. ერთი პირი შესაძლოა ხელმძღვანელობდეს რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას. ასევე პროგრამის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

4.1. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
- პროგრამის მოცულობას კრედიტებით;
- სწავლების ენას;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, რომელშიც ასახულია დასაქმებაზე ორიენტირებული კომპეტენციები;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, სასწავლო კვირების, საკონტაქტო საათების, კრედიტების რაოდენობას და სხვა.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება/განვითარება

5.1. ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების/გამოკითხვების/ინტერვიუირების გამოყენების საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს კვლევას. სამსახურის ანალიზი (ანგარიში) და რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის სენატს შემდგომი რეაგირებისათვის.

5.2. პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი: კვლევის შედეგების პროგრამაში ასახვის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას განმახორციელებლებთან ერთად და წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ჯგუფს/სკოლის საბჭოს. მოდიფიცირებული პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის სენატს დასამტკიცებლად.

მუხლი 6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

6.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

6.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

6.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

დანართი 1

პროგრამის/პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

პრეამბულა საბაკალავრო პროგრამისათვის

ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. საბაკალავრო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

პრეამბულა სამაგისტრო პროგრამისათვის

მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. სამაგისტრო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, ბოლონიის კონვენციის მოთხოვნებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

ზოგადი ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო და პრაქტიკულ ელემენტებს, შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, საბაკალავრო პროგრამით სწავლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას, რაც საფუძველს უქმნის შემდგომ სწავლებას მაგისტრატურაში ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საბაკლავრო პროგრამა - ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. საბაკალავრო პროგრამით სწავლების განსაზღვრული ვადა 4 (ოთხი) აკადემიური წელი (8 სემესტრი). საბაკალავრო პროგრამით სწავლის დასრულებისას კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კომპეტენციები, დარგობრივი, პრაქტიკული და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, უნდა ჰქონდეს ლოგიკური სტრუქტურა და ითვალისწინებდეს ყველა საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სწავლა/სწავლების პროცესთან. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შეიძლება გაერთიანდეს მოდულებში.

ზოგადი ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შესახებ

სამაგისტრი საგანმანათლებლო პროგრამა არის კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო და პრაქტიკულ ელემენტებს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ხანგრძლივობა მოიცავს 4 (ოთხი) სემესტრს (ორ აკადემიურ წელს, ხოლო სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს). კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების - პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში კრედიტის მიღებით და პროგრამის მოთხოვნების შესრულების შედეგად.

ზოგადი ინფორმაცია საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის შესახებ

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს, არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს და ა.შ. სავალდებლო კომპონენტებს მიეკუთვნება სავალდებულო სასწავლო კურსები, პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი (მომზადება და დაცვა). პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები და პროცედურები, რომლებიც აუცილებელია პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესისათვის, წარმოდგენილია უნივერსიტეტში მოქმედ შესაბამის დებულებაში და პრაქტიკის სილაბუსში.

ზოგადი მოთხოვნები საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის მიმართ

პროგრამის შინაარსი უნდა ემსახურებოდეს შესაბამისი აკადემური ხარისხის ადეკვატური ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონის მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები და სხვა კომპონენტები ასევე უნდა უზრუნველყოფდეს დარგობრივი ცოდნის, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების (ტრანსფერული უნარების) გამომუშავებას. მისანიჭებელი კვლიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ სტანდარტებს (არსებობის შემთხვევაში) და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (დახასიათება)

პროგრამის დასახელება - უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს;

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად) - პროგრამის დასრულების შემდეგ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი მითითებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი უნდა მიეთითოს ინგლისურადაც დიპლომის დანართისთვის;

საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი - პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კონტრაქტითა და საათობრივი წესით მოწვეული პროფესორების, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლების, დამსაქმებლების მონაწილეობას. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე.

პროგრამის მიზანი - მკაფიოდ, სასურველია პუნქტობრივად მიეთითოს პროგრამის მიზნები. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უნდა აღიწეროს კომპეტენციებით, კერძოდ: დარგობრივი ცოდნისა და დარგობრივი უნარის, ასევე ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამის მიზნების აღწერისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი პროგრამის აქტუალობის ჭრილში. პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს, როგორც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ისე სკოლის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ ამოცანებთან.

სწავლის შედეგები - სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად. საგანმანათლებლო პროგრამაში დიფერენცირებულად უნდა მიეთითოს ის დარგობრივი, პრაქტიკული თუ ზოგადი (ტრანსფერული) უნარები, რომლებსაც შეიძენს კურსდამთავრებული. სწავლის შედეგების აღწერისას სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა (თავსებადობა), ასევე სწავლის შედეგების აღწერა სასწავლო კურსებთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს კომპეტენციების რუკის შესაბამისად. სწავლის შედეგების აღწერისას მნიშვნელოვანია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევის ანალიზის გათვალისწინება.

სწავლება - სწავლის მეთოდები - საჭიროა მიეთითოს თუ რა მეთოდები იქნება გამოყენებული პროგრამით გათავალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლისას - ლექცია სრულად ეთმობა შესასწავლი სასწავლო კურსის თეორიულ ნაწილს, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ფართო თეორიული ცოდნა. თეორიული მეცადინეობები ლექციის ფორმატში მიმდინარეობს ინტერაქტივის სახით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებული იქნას ტექნიკური საშუალებები.

პრაქტიკული მეცადინეობები გულისხმობს - რიგი სამუშაოების შესრულებას, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: თემატური პრეზენტაციის მომზადება, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტივობა (გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით), ქეისის გარჩევა, ქვიზების

(საკონტროლო კითხვების) დამუშავება, ესეების მომზადება და მრავალი სხვა. სასწავლო პროცესში სტუდენტთა მიერ ინდივიდუალური/ჯგუფური პრეზენტაციების მომზადება აუცილებელი პრაქტიკაა. კონკრეტული სასწავლო კურსის თავისებურებების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს შეუძლია სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდოლოგია:

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;

პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ეხმარება, თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;

ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;

დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

ანალიზის მეთოდი - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;

ახსნა - განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში,

სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;

მაგალითების გენერირება - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ სხვადასხვა მოდელირებული მაგალითის ჩამოყალიბებას;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

ელექტრონული სწავლება (E-learning) - ეს მეთოდი ითვალისწინებს უცხო ენის სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები;

სოკრატული მეთოდი - სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა აქტიურად ჩართვას კითხვების პასუხის გზით საკუთარი ცოდნის აგებაში. იგი გულისხმობს იმ კითხვებზე ორიენტირებას, რომელიც მხოლოდ პრობლემურია და არა ინფორმაციული. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიისა და დებატების გზით. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს უვითარებს კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას.

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია შემდეგი შეფასების მეთოდები:

პრაქტიკული სამუშაო - სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს უყალიბებს;

პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;

ვერბალური პრეზენტაცია - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;

გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;

რესურსების მოძიება - ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება ელექტორნული და ბეჭდური საშუალებების გამოყენებით;

სააზროვნო შეკითხვები - წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;

შემთხვევების შესწავლა (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების" ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

ინდივიდუალური პროექტი - წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს, სადაც გაითვალისწინება მიღებული ცოდნის შენარჩუნება და მისი აქტიური გამოყენება. იგი არის ერთგვარი გეგმა, რომელშიც ასახულია კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მოდელირებული განხორციელების შესაძლებლობა;

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტასა და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს ეკონომიკის საგარეო სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებელების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;

სიტუაციური იმიტაცია - სიტუაციური იმიტაცია წარმოადგენს მეთოდს, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება კონკრეტული საკითხის/თემის წარმოსასახად და შემდგომ გასაანალიზებლად; ამ მეთოდით სტუდენტი სწავლობს დავალების შესრულებას დაკვირვებებსა და მოქმედებებს შორის ასახვის შესწავლით. იმიტაციის საშუალებით სწავლების პარადიგმა პოპულარობას იძენს, რადგან იგი ხელს უწყობს რთული ამოცანების სწავლებას დავალებების მინიმალური ექსპერტული ცოდნის საფუძველზე;

ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება). ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან;

როლური თამაშები – წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ბიზნესის ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;

თარგმანი - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს, გაუუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;

სავარჯიშოები - აუცილებელი შემადგენელია უცხოური ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;

წერითი მუშაობა - სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალებების წერითი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას;

წიგნზე მუშაობა - სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება;

მოსმენა - უნვითარებს სტუდენტს უცხოურ ენაზე აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ - ჩვევებს;

ბლიც-გამოკითხვა - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;

სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ - ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს და სხვა.

შენიშვნა:

კონკრეტული აქტივობების ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეცი-ფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები - პროგრამის მიზანდასახულობა, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების მითითებულ სფეროებსა და საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის, კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი – სასწავლო გეგმა (კომპონენტები, სასწავლო კურსები, შესაბამისი კრედიტები). საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალურ ცხრილში.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - რუკის ერთ სვეტში უნდა მიეთითოს კომპეტენციებით აღწერილი მიზნები, ხოლო მეორე სვეტში პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკა - მიეთითება ცხრილის ერთ მხარეს პროგრამის სწავლის შედეგები დარგობრივი ცოდნის, დარგობრივი უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინებით, ხოლო მეორე

მხარეს აღიწერება სასწავლო კურსები, რომელთა შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან აღინიშნება შესაბამის სვეტში შესაბამისი აღნიშვნით.

სასწავლო რესურსი - მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსი.

ადამიანური რესურსი - მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.

სილაბუსის შევსების ინსტრუქცია

სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოადგენს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების გეგმას. სასწავლო კურსის სილაბუსის მეშვეობით სტუდენტი არკვევს, თუ რამდენ კრედიტს მოიცავს სასწავლო კურსი, რა არის სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა და სასწავლო კურსის მიზანი, რა თემების შესწავლა იქნება საჭირო სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სილაბუსში მითითებული კრედიტების ოდენობა ასახავს სტუდენტის, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. საკონტაქტო საათები მოიცავს სალექციო და სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას და ჩაბარებას. სილაბუსში მითითებულია ის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება სტუდენტს სასწავლო მასალის ათვისებაში. სილაბუსში აღწერილია სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსის სილაბუსი აწესრიგებს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობას, რადგან სწავლის დაწყებამდე სტუდენტს ეცოდინება თუ რა მოცულობის სამუშაო ექნება შესასრულებელი და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)

მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის სრული სახელწოდება

სკოლა

მიუთითეთ სკოლა

სწავლების საფეხური

მიუთითეთ სწავლების საფეხური

სასწავლო კურსის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)

მიუთითეთ სასწავლო კურსის სრული სახელწოდება

სასწავლო კურსის კოდი

მიუთითეთ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული სასწავლო კურსის კოდი

საწავლების ენა

მიუთითეთ სწავლების ენა (ქართული)

სასწავლო კურსის სტატუსი

მიუთითეთ სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო; არჩევითი)

სემესტრი

მიუთითეთ სასწავლო კურსის ასათვისებლად განსაზღვრული სემესტრი

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები

მიუთითეთ თუ რა ცოდნას უნდა ფლობდეს სტუდენტი ამ სასწავლო კურსი ათვისებისთვის, რომელი სასწავლო კურს(ებ)ი უნდა ჰქონდეს უკვე გავლილი

კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – ECTS

1. მიუთითეთ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;
2. მიუთითეთ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობაზე გათვალისწინებულ აკადემიური საათების რაოდენობას. საკონტაქტო საათები წარმოადგენს ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობების (ლექციების, სემინარული/პრაქტიკული, შუალედური გამოცდის და დასკვნითი გამოცდის) საათებს, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები წარმოადგენს სტუდენტის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. დამოუკიდებელი საათების საანგარიშოდ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გაამრავლეთ 25-ზე.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი/განმახორციელებლები

მიუთითეთ სასწავლო კურსის განმახორციელებლის/გამახორციელებლების სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

სასწავლო კურსის მიზანი

მიუთითეთ სასწავლო კურსის შედეგზე ორიენტირებული მიზანი რაც ასახავს იმას, თუ რისთვის არის ამ კურსის შესწავლა საჭირო.

სწავლის შედეგი

მიუთითეთ, სრუდენტის მიერ მისაღწევი შედეგები, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტთან, როგორ შეეძლება სტუდენტს მიღებული ცოდნის და კომპეტენციების გამოყენება სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობისას და სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით. მოცემული ინფორმაციით უნდა განისაზღვროს, რამდენად სწორედ მიმდინარეობს სასწავლო

კურსის სწავლება, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს სწავლის მიზნები და სასწავლო კურსის შესწავლით მისაღწევი შედეგები, რამდენად ადეკვატურია სწავლებისა და შეფასების ფორმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და ა.შ. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

სასწავლო კურსის შინაარსი

ჩამოთვალეთ ლექციების და სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობების თემები შესაბამისი საათების მითითებით; მიუთითეთ თუ რომელ კვირაში ჩატარდება კონკრეტული ლექცია, სემინული/პრაქტიკული მეცადინეობა, შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა. მიუთითეთ კონკრეტული ლექციისთვის, სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობისთვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის გამოყოფილი საათების ოდენობა.

სწავლება - სწავლის მეთოდები

მიუთითეთ თუ რა მეთოდები იქნება გამოყენებული სასწავლო კურსის შესწავლისას - ლექცია სრულად ეთმობა შესასწავლი სასწავლო კურსის თეორიულ ნაწილს, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს ფართო თეორიული ცოდნა; თეორიული მეცადინეობები ლექციის ფორმატში მიმდინარეობს ინტერაქტივის სახით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებული იქნას ტექნიკური საშუალებები. სტუდენტთა აკადემიური მზაობა მუდმივ მონიტორინგს ექვემდებარება.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება უნდა მოხდეს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების ამ სისტემაში ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი_- მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(Fx) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მიუთითეთ ასევე F ან Fx შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე

მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების თუ შედეგების შესახებ. ასევე დამატებითი გამოცდის ჩატარების ვადა.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

მიუთითეთ შეფასების ფორმები: დასკვნითი შეფასება (დასკვნითი გამოცდა) შუალედური შეფასება (პრაქტიკული მეცადინეობა, შუალედური გამოცდა); ასევე შეფასების კომპონენტები: პრაქტიკული მეცადინეობა, შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა - ზეპირი/წერითი გამოკითხვა, ზეპირი წერითი გამოცდა და ა.შ. მიუთითეთ რამდენჯერ და რა ფორმით (ზეპირი, წერითი) ტარდება შუალედური გამოცდა. მიუთითეთ საკითხების რაოდენობა და თითოეული კითხვის მაქსიმალური შეფასება, ასევე მიუთითეთ ჯამური ქულის რაოდენობა. შუალედური და დასკვნითი შეფასების ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

აუცილებელია შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მითითება.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები

მიუთითეთ სასწავლო კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, სამუშაო ჯგუფშუ მუშაობა და სხვა). შეფასების მეთოდი უნდა იყოს გაზომვადი, შესაბამისად უნდა მიეთითოს შეფასების კრიტერიუმი, რომელიც არის შეფასების მეთოდის საზომი ერთეული და რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა

მიუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელო(ები), რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება

დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა

მიუთითეთ ის სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, პერიოდული გამოცემები, ელექრონული რესურსი და სხვა სასწავლო მასალა, რომელსაც იყენებთ სწავლებისას. დამატებითი სახელმძღვანელოების ჩამოთვლისას გაითვალისწინეთ, რომ ყველა ეს სახელმძღვანელო ხელს უწყობს ამ კურსის უფრო სრულყოფილ ათვისებას და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ალტერნატიული ვარიანტები.

კონსულტაცია

მიუთითეთ კონსულტაციის ჩატარების რეჟიმები და ფორმები

სასწავლო რესურსი

მიუთითეთ სასწავლო კუსის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსი

ინფორმაცია სტუდენტებისათვის

სასურველია სასწავლო კურსში ქვემოთ მოცემული ინფორმაციის ასახვა:

პლაგიატი – მიუღებელია, საშინაო დავალების პრეზენტაციის ან წერითი ფორმით წარმოდგენისას, სხვისი ნაშრომის, იდეის ან აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტის დავალება.

გადაწერა/კარნახი – აღნიშნული ქმედება იკრძალება ნებისმიერი ტიპის აქტივობის (საშინაო დავალება, გამოცდა, პრეზენტაცია და სხვა) დროს. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტები.

ქცევა – სტუდენტის ქცევა არ უნდა შეიცავდეს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ელემენტებს. იკრძალება მობილური ტელეფონის, მუსიკალური მოსასმენის (აიპოდი და სხვ.) ლექციის მსვლელობისას გამოყენება. სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობის შემთხვევაში ლექტორი ვალდებულია მოხსნას სტუდენტი მეცადინეობიდან.

დანართი 3

სილაბუსი	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	
სკოლა	
სწავლების საფეხური	
სასწავლო კურსის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	
სასწავლო კურსის კოდი	
სწავლების ენა	
სასწავლო კურსის სტატუსი	
სემესტრი	
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	
კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის სასწავლო დატვირთვა (ECTS)	

სასწავლო კურსის განმახორციელებელი/ განმახორციელებლები	
სასწავლო კურსის მიზანი	
სწავლის შედეგები	
სასწავლო კურსის შინაარსი	
სწავლება-სწავლის მეთოდები	
შეფასების სისტემა	
შეფასების ფორმები და კომპონენტები	
შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები	
სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა	
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	
კონსულტაცია	
სასწავლო რესურსი	

კვირა	ლექცია/პრაქტიკული
I	
II	
III	
IV	
V	
VI	

VII	
VIII-IX	**შუალედური გამოცდა**
X	
XI	
XII	
XIII	
XIV	
XV	
XVI	**დასკვნითი გამოცდა**
XVII	**განმეორებითი გამოცდა**

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების საფეხური:

არის თუ არა შევსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმის ყველა პუნქტი:

ყველა პუნქტი შევსებულია	
ყველა პუნქტი არ არის შევსებული	

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების დასრულების შედეგად მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკადემიურ ხარისხებთან:

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის კრედიტებში შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ოდენობასთან:

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების წინაპირობების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან:

შეესაბამება	
არ შეესაბამება	

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისობა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასთან:

სრულად შეესაბამება	
შეესაბამება ნაწილობრივ	
არ შეესაბამება	

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები:

აღწერილია დეტალურად	
აღწერილია ზოგადად და ბუნდოვნად	

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მეთოდები:

შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მისაღწევ სწავლის შედეგებს	
საჭიროებს სრულყოფას	
არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს	

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ფორმატი:

შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და მისაღწევ სწავლის შედეგებს	
საჭიროებს სრულყოფას	
არ შეესაბამება საგანმანათლებლოპროგრამის მიზნებს და მისაღწევ სწავლის შედეგებს.	

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსები:

შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას	
არ არის საკმარისი	
არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას	

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული):

შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას	
არ არის საკმარისი	
არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას	

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა, ECTS

შეესაბამება ECTS მოთხოვნებს	
არ შეესაბამება ECTS მოთხოვნებს	

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კომპონენტები და კრედიტების განაწილება

პროგრამის სტრუქტურა არის აღწერილი	
პროგრამის სტრუქტურა არ არის აღწერილი	
პროგრამის ყველა კომპონენტი არის მითითებული	
პროგრამის კომპონენტების სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) არის მითითებული არ არის მითითებული	
პროგრამის საერთო კრედიტები განაწილებულია ყველა კომპონენტს შორის	
ყველა კომპონენტის მოცულობა კრედიტებში არის მითითებული	
კომპონენტების კრედიტების ჯამი შეესაბამება პროგრამის მოცულობას ECTS	
შეფასების თითოეული ფორმაში/კომპონენტში გათვალისწინებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგად მისაღწევ შედეგებთან

შეესაბამება	

არ შეესაბამება	

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (სასწავლო კომპონენტები სემესტრების მიხედვით, კრედიტები, საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათები, სწავლების ორგანიზების თავისებურებები):

სასწავლო გეგმის მიხედვით კრედიტების საერთო ოდენობა: შეესაბამება პროგრამის მოცულობას ECTS	
სასწავლო გეგმაში ყველა სასწავლო კომპონენტის: კრედიტების ოდენობა არის მითითებული საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოდენობა არის მითითებული	
სასწავლო გეგმაში ყველა სავალდებულო კომპონენტი არის მითითებული	
სასწავლო გეგმაში არჩევითი კომპონენტები არის გათვალისწინებული	

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსთან და ბიბლიოთეკის წიგნად ფონდთან

სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალები: შეესაბამება სასწავლო კურსს არ შეესაბამება სასწავლო კურსს მითითებულია მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში	
დამხმარე ლიტერატურა და სასწავლო მასალები: შეესაბამება სასწავლო კურსს არ შეესაბამება სასწავლო კურსს	

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების დასრულების შედეგად მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

მითითებულია და შეესაბამება კანონმდებლობას	
მითითებულია, მაგრამ არ შეესაბამება კანონმდებლობას	

საგანმანათლებლო პროგრამით შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

აძლევს აღნიშნულის შესაძლებლობას	
შეუძლებელია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამით სპეციფიკიდან გამომდინარე	

შემაჯამებელი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სრულად შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა

სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების მიზანია სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და უზრუნველყოფა.

სასწავლო კურსი:

სასწავლო კურსის სტატუსი:

საგანმანათლებლო პროგრამა:

სწავლების ენა:

სემესტრი:

სასწავლო კურსის განმახორციელებელი/განმახორციელებლები:

სასწავლო კურსის სტატუსის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან

შეესაბამება: ----------

არ შეესაბამება ----------

სასწავლო კურსისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობა

შეესაბამება სრულად ----------

შეესაბამება ნაწილობრივ ----------

არ შეესაბამება ----------

სასწავლო კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა

შეესაბამება სრულად ----------

შეესაბამება ნაწილობრივ ----------

არ შეესაბამება ---------- ----

სასწავლო კურსის კრედიტების (საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების) შესაბამისობა პროგრამის კურიკულუმთან

შეესაბამება სრულად ----------

არ შეესაბამება ----------

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები

მითითებულია ----------

არ არის მითითებული ----------

სასწავლო კურსის სწავლების მიზნები

მკაფიოდ და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ----------

ბუნდოვნად და ზოგადად არის აღწერილი ----------

სასწავლო კურსის ფორმატი

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

არ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

სასწავლო კურსის სწავლება/სწავლის მეთოდები

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

არ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

სასწავლო კურსის მატერიალური რესურსები

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

არ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ----------

სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისობა დადგენილ წესთან

შეესაბამება ----------

არ შეესაბამება ----------

შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

მკაფიოდ და კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ----------

ბუნდოვნად და ზოგადად არის აღწერილი ----------

სწავლის შედეგების/მიღწეული კომპეტენციების შესაბამისობა კვალიფიკაციათა აღმწერთან

შეესაბამება ----------

არ შეესაბამება ----------

შესაბამისობა სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის

შესაბამსობაშია ----------

არ არის შესაბამისობაში ----------

სასწავლო კურსის შინაარსი

ასახავს შესასწავლ თემატიკას:

სრულად ----------

არასრულად ----------

შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებს:

სრულად ----------

არასრულად ----------

არ შეესაბამება ----------

ძირითადი ლიტერატურა

შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს ---------- --

არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს ----------

მითითებულია თანამედროვე სახელმძღვანელოები და მასალები ----------

ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდთან

არის წიგნად ფონდში ----------

არ არის წიგნად ფონდში ----------

დამხმარე ლიტერატურა და მასალები

შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს ----------

არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს ----------

შემაჯამებელი ინფორმაცია სასწავლო კურსის სილაბუსის შესახებ

სრულად შეესაბამება მოთხოვნებს ----------

არ შეესაბამება მოთხოვნებს და საჭიროა ახალი სილაბუსის შედგენა ----------

საჭიროა რამდენიმე ხარვეზის გამოსწორება, მათ შორის: ----------

ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი: ----------

სასწავლო კურსის ავტორი: ----------